საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 250
ხუთშაბათი, ივლისის 20
1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები იულონი ლომინის-ძე და ეფროსინა დიმიტრის ასული, ძმები: იპატი და სერაფიმე, დები: ნადეჟდა, აგრაფენა, ზინა და ლუბა კერძაიები აუწყებენ ნათესავ-მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ბორჯომში გარდაიცვალა მე-2 სახელმწიფო კონსერვატორიის მსმენელი მათთვის დაუვიწყარი

ვერა იულონის ასული

კერძაია

მიცვალებულის წასვენება და დაკრძალვა მოხდება ქ. ახალსენაკში, რომლის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გულდამწვარნი: და ნადეჟდა იულონის ასული და სიძე აკაკი ტარიელის ძე მოწონელიძენი აუწყებენ ნათესავ მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ბორჯომში გარდაიცვალა მე-2 სახელმწიფო კონსერვატორიის მსმენელი, მათთვის დაუვიწყარი

ვერა იულონის ასული

კერძაია

მიცვალებულის წასვენება და დაკრძალვა მოხდება ქ. ახალსენაკში, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ქალაქის საბჭოსი და ალმასკომის ყველა წევრებს

მრავალი ამხანაგები ხშირად იგვიანებენ, როგორც ალმასკომის, აგრეთვე საბჭოს პლენუმის სხდომაზე ზოგი კი სრულებით არ ესწრებიან სხდომებს. ეს მდგომარეობა პრეზიდიუმს საშუალებას ართმევს ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამიტომ თავის ერთს სხდომაზე დაადგინა: „ის წევრები ალმასკომისა და საბჭოსი, რომელნიც გამოსტოვებენ ზედიზედ, სამ სხდომას არა საპატიო მიზეზის გამო, მექანიურად გამორიცხული იქნებიან საბჭოს შემადგენლობიდან. ამისათვის ყველას ვსთხოვთ წესიერათ დაესწრონ როგორც ალმასკომის, ისე ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომებს.

მდივანი **ხუნდაძე**

რა სურთ?

ამ რამდენიმე დღის წინათ ადგილობრივ გაზეთების ფურცლებზე ცხარე საინტერესო კამათს ქონდა ადგილი. ჩვენ მოგახსენებთ იმ კამათის შესახებ, რომელიც გაიმართა „პრავდა გრუზია"-ში (№ 382) მოთავსებულ წერილის „სამართლისა და სასამართლოს გაერთიანების" გარშემო. ეს კამათი საინტერესო და საყურადღებოა არა თავისი განსახილველი ობიექტის, სამართლისა და სასამართლოს გაერთიანების საკითხის მიხედვით, არამედ იმ ტენდენციებითა და პოლიტიკური მიზეზებით, რომელსაც მიზნად ისახავს ასეთი გაერთიანების წამომყენებელნი. ამხ. ფილიპე მახარაძე თავის საყურადღებო წერილში, რომელიც დაბეჭდილი იყო ყველა ადგილობრივ გაზეთებში, გარდა „ზარია ვოსტოკასი", ნიღაბს ახდის საბჭოთა „პლაშში" მოსიარულე ხალხის სურვილებს და ნათელყო მათი მოღვაწეობის უარყოფითი მხარეები. ჩვენ გვინდა პატიოსანი პუბლიცისტის მოსაზრებით რამდენიმე დაუმატოთ და გამოვარკვიოთ, თუ რა სურთ „გაერთიანების" პოლიტიკის მომხრეთ, რა არის მათი მთავარი საზრუნავი საგანი?

„გაერთიანებისათვის" ზრუნვამ და მოღვაწეობამ ჩვენში ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ერთ დროს ჩვენში ა. წ. ისპანკის ეპიდემია იყო გავრცელებული, ამ ჟამად „გაერთიანების" ეპიდემიამ მოიკიდა ფეხი. ეს არის „პოლიტიკური ეპიდემია", რომელიც დიდ ზიანს აყენებს ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეს.

ეს ეპიდემია ყველაზე უფრო გამანადგურებელი შედეგებით გვემუქრება და თუ საჭირო იყო ისპანკის წინააღმდეგ შესაფერისი ზომების მიღება, არა ნაკლებ საჭირო არის ასეთივე ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველგვარი კულტურული საშუალებით.

ამ ხალხის დამახასიათებელი სურათი მოგვცა ამხ. ფ. მახარაძემ თავის წერილში, სადაც ის ამბობს: „არის ადამიანთა კატეგორია, რომელთაც ჩაუცვამთ საბჭოთა „პლაშჩი", მაგრამ რომელთათვისაც ყველაფერი საბჭოთა უცხოა. ისინი იგონებენ სხვა და სხვა გაერთიანებებს, არა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ, არა მუშებისა და გლეხების ინტერესებისათვის, არამედ რაღაც სხვა მიზნებისათვის". საინტერესოა ეს „რაღაც სხვა მიზნები", რომლითაც გამსჭვალულნი არიან ეს „პლაშჩიანი" ხალხი და რომელსაც ასე ჯიუტად მოდგინეთ ემსახურებიან ისინი.

ეს „რაღაც" სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ჩვენში მომქმედ პირთ „ზოგიერთ კატეგორიებს" ვერ მოუნელებიათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებელი არსებობა და ყოველფეხის გადადგმაზე იგონებენ ათასნაირ „გაერთიანების" გეგმებს, რომ ამით მოსპონ და რუქიდან ამოშალონ აღნიშნულ რესპუბლიკების დამოუკიდებელი არსებობა. მთავარი აზრი და მიზანი ამ გაერთიანებისა სწორედ აქედან გამომდინარეობს. ამ ხალხმა, გაჟღენთილმა რუსული შოვინიზმითა და იმპერიალიზმით, ვერ მოინელა პატარა საქართველოს თავისუფალი პოლიტიკური არსებობა და დღეს უდიდესი გეგმები ითხზება იმის შესახებ, თუ როგორ მოსპონ და გააუქმონ ეს დამოუკიდებლობა.

ასეთს მიზნებს თავისი ისტორიული მიზეზები აქვს. მრავალი ათეული წლეთა განმავლობაში ამიერ-კავკასია და საქართველოც რუსეთის იმპერიის განუყოფელ პროვინციას შეადგენდა და რუსული იმპერიალიზმი ენერგიულად სთელავდა ფეხქვეშ აქ მოსახლე ერების ინტერესებს. ასეთს პირობებში დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო და ხალხი მხოლოდ ფიზიკურ განადგურებისაგან გადარჩენაზე ოცნებობდა. ეპყრობილი ნაციის მდგომარეობამ შექმნა მის შვილთა შორის ერთგვარი ფსიხოლოგიური წარმოდგენა, რომლითაც დაავადმყოფებული არის არა მარტო ლიბერალური წრეები, არამედ მრავალი წითელი „პლაშჩიანი" ხალხი. ლიბერალიზმი და ლიბერალურად მოაზროვნე ხალხი ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს, მაგრამ ჩვენთვის დიდი საკითხის შექმნა შეუძლიათ იმ ხალხთ, რომელნიც წითელ მანტიასატარებენ შოვინისტური გულით. ეს ხალხი ვერ იტანს, რომ გუშინდელი მისი მონა დღეს დამოუკიდებლობით სარგებლობს და თავისუფალი ერის სახელს ატარებს. მათი შეგნება ვერ შერიგებია იმ გარემოებას, რომ პატარა ერებს აქვთ უფლება თანასწორი ენით ილაპარაკონ დიდ ერებთან და მათთან ერთად მოითხოვონ შესაფერისი ადგილი საერთაშორისო ოჯახში. ეს ხალხი იმპერიალიზმისა და რუსულ შოვინიზმის სენით არიან დაავადმყოფებულნი და ეს ავადმყოფობა ისტორიული მიზეზების წყალობით წარმოიშვა. ცხადია, მის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელი არის მხოლოდ რადიკალური ზომებითა და მეთოდებით.

ამ ხალხის ზრახვები ყოველი ფეხის გადადგმაზე მოსჩანს. ყოველი მათი ნაბიჯი მიმართული არის საქართველოს სახელმწიფოებრივობის მოსპობისაკენ, ძველი პროვინციალური მდგომარეობის აღდგენა,—აი რით გვემუქრებიან ეს პოლიტიკოსები. მაგრამ ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება ხდება მიზანშეწონილად მაღალი ფრაზების ქვეშ. მათი გეგმები ლოღიკურად გამომდინარეობენ ერთი მეორედან. აქ ლოღიკის მოთხოვნილებანი საცსებით დაცულია, მაგრამ ამ ფორმალური მხარეების დაცვით თანდათან ხელიდან გვეცლება ის, რაც დამახასიათებელი არის სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და მისი ავტორიტეტის.

ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში გაერთიანებულია მთელი რიგი სხვადასხვა ორგანიზაციებისა გაერთიანებულია რკინის გზა, ეკონომიური და ფინანსიური მხარეები, სამხედრო ძალები, სხვადასხვა ნარკომატები. მაგრამ ამით ვერ კმაყოფილდებიან ზოგიერთები: არის კიდევ ისეთი დაწესებულებები, რომელნიც ცალკე რესპუბლიკების განკარგულებაში არის დარჩენილი. და შემუშავდება შესაფერისი გეგმები ამ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გასაერთიანებლად. დღეს მორიგ ამოცანად სდგას სამართლისა და სასამართლოების გაერთიანების საკითხი. ხვალ, ალბად, წამოყენებული იქნება კულტურული დაწესებულებას გაერთიანების საჭიროება, ზეგ—ადმინისტრატიულის, ამის შემდეგ... მაგრამ დაგვრჩება კი რამე გასაერთიანებელი? ცხადია ამ პოლიტიკის გზით ბოლოს და ბოლოს ჩვენს საკანონმდებლო ცენტრალური ალმასკომები ცარიელ ქაღალდზედ დარჩებიან და მათი საკანონმდებლო აქტები ვერ გასცილდება სასახლის ღარბაზს.

ყველასათვის ნათელი და გარკვეული უნდა იყოს, რომ ამ „გაერთიანების" გეგმებს სარჩულად უდევს ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობა და მისი სახელმწიფოებრივობის განადგურება. ამ პოლიტიკას ვერასოდეს ვერ შეურიგდება ქართველი მშრომელი ხალხი და მთელი თავისი ენერგიით შეებრძოლება იმ ელემენტებს, რომელნიც მოინდომებენ ვისიმე პროვინციად გადააქციონ ჩვენი სამშობლო. ჩვენი ხალხის მთავარი მიზანია დაიცვას თავისი ეროვნება, განამტკიცოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ფორმებში მისი არსებობა და შესაფერისი პირობები შეუქმნას ეროვნული კულტურის აყვავებასა და წარმატებისათვის. ვინც ებრძვის ქართველი ხალხის ამ უწმინდეს მისწრაფებებს, ის ჩვენი მტერი არის და მას მთელი ჩვენის არსებით შევებრძოლებით. ქართველი ერი მოყვარული არის თავისი მეზობლებისა და ერების, მას სურს მტკიცე ურთიერთობისა და კავშირის დაჭერა მათთან, მაგრამ ამ კავშირის დროს დაცული უნდა იქნეს ჩვენი სახელმწიფოებრივობა და მისი ატრიბუტები. ვისაც სურს ამიერ-კავკასიის ერთა შორის კავშირი ჩვენი სახელმწიფოებრივობისა და დამოუკიდებლობის მოსასპობად,—ის ჩვენი ერის მტერი არის და ის უნდა განიდევნოს ჩვენი საზღვრებიდან, როგორც მავნე ელემენტი.

ამხ. ნ. ლენინი ერთ თავის წერილში ამბობდა: გადავხედოთ რუსეთის კომუნისტების და მრავალ მათში „ველიკოროსიის" შოვინისტებს აღმოაჩენთო. ჩვენ ეს სიტყვაში შეგვიძლია თამამად გავიმახოთ ჩვენშიც: გადაფხეკეთ საქართველოში მომქმედ უცხო კომუნისტები და მრავალ მათგანში აღმოაჩენთ რუსულსა და სომხურს დამახინჯებულს შოვინიზმს.

მაგრამ ჩვენთვის მარტო გადაფხეკა არ არის საკმარისი, საჭიროა მათი სავსებით სამუდამოთ „გაფხეკა" საქართველოდან.

ამას მოითხოვს ჩვენი ერის, რევოლიუციისა და ამიერ-კავკასიის ხალხთა სოლიდარობის ინტერესები.

ს. დევიანი.

საით მივდივართ?

სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ნაციონალიზაციის საქმე საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდანვე მწვავედ დაისვა ჩვენს წინაშე. რუსული ენის გაბატონებამ საბჭოთა დაწესებულებებში თავიდანვე მიიღო სისტემატიური ხასიათი და ერთბაშად შესცვალა სახელმწიფო აპარატის ფიზიონომია.

მას შემდეგ არა ერთხელ ყოფილა გამოტანილი დადგენილება ქართული ენის სახელმწიფოებრიობის შესახებ, მაგრამ თურმე ზოგი დადგენილება იმისთვის არ არსებობს, რომ იგი შესრულებულ იქნეს.

ჩვენ გვესმოდა ის მძიმე პირობები რომელიც შექმნილ იყო 1921 წ. თებერვლის ამბების გამო და რომლის გამოსწორება დღეებით და კვირეებით შეუძლებელი და დაუძლეველი გახლდათ, [illegible] ვარზე მეტია გასულ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, დღეს მაინც უნდა დავეკითხოთ ჩვენ თავს—საით მივდივართ?

უკანასკნელად, ამ მხრივ დიდი იმედები შეიძლებოდა შტატების შემოკლების გამო, რადგან შემოკლების დროს დაწესებულებათა ნაციონალიზაციის პრინციპი უნდა ყოფილიყო მიღებული, მხედველობაში, მაგრამ რეალობამ სულ სხვა სურათი დაგვანახა. ჩვენ ვხედავთ, რომ თუ დენაციონალიზაციის პრინციპი არ უდევს შტატების შემოკლების საფუძვლად ყოველ შემთხვევაში შედეგები მაინც მეტად უახლოვდება ამ პრინციპით ხელმძღვანელობას.

ჩვენ მოგვდის ცნობები, რომ ხშირად აუქმებენ რომელიმე თანამდებობას, ითხოვენ ქართველ მოსამსახურეს, სახელმწიფო ენის მცოდნეს და შემდეგ კი ისევ ხდება ამავე თანამდებობის აღდგენა და მიღება არა ქართველის სახელმწიფო ენის არა მცოდნის.

ამ მოვლენის კვალიფიკაცია ყოველ მოტივაციას გარეშე უნდა იქნეს აღიარებული, როგორც აშკარა აქტი ეროვნული საქმის კვეთება.

ქართული ენის იმ მდგომარეობაში ჩაყენება, რომელშიაც იგი დღეს არსებობს არ შეიძლება მარტო უპასუხისმგებლო პირთა თვითნებობას მიეწეროს. გარკვეულად უნდა ითქვას, რომ აქ პასუხისმგებელ პირთა დაუდევრობას, და საკითხის მიჩქმალვას აქვს ადგილი.

ვერც ერთი მოქალაქე ვერ დაასახელებს რაიმე დეკრეტს, რომელიც ასე თუ ისე არ განადიდებულიყოს ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლებას ახასიათებს სწორი გეზი, გაბედული ნაბიჯები და პირი და პირი საქმიანობა. ეს ტენდენცია აშკარად იჩენს სახელმწიფოებრივ საქმიანობას, ყველა სფეროში მაგრამ [illegible] სრულებით არ ჩანს ქართული ენის [illegible]

[illegible]

ჩვენ ერთ ერთ ნომერში მოვიყვანეთ ამხ. ფ. მახარაძის წერილი, რომელსაც [illegible] სასამართლოების გაერთიანების საკითხს და სწორედ „ცნობილება", რომ ბოლო დროს ჩვენში მოდაში იქცა ლაპარაკი და წერა [illegible] გაერთიანებაზე. [illegible] რომ წინადადებას იძლევიან გაერთიანებისა [illegible]

რთიანონ ის, რაც უკვე გაერთიანებულია, ოღონდ კი მოიხვეჭონ არჩევა კოსმოპოლიტის, პეშმარიტი ინტერნაციონალისტის სახელი.

„ამასთან ერთად არ უფიქრდებიან იმას, საჭირო თუ არა გაერთიანება საქმის ინტერესებისათვის არსებულ პირობებში? მსჯელობენ მარტივად: ერთობა და გაერთიანება კარგი საქმეა, ამიტომ ზედმეტია ზედმეტი ლაპარაკი, მოდი და გავაერთიანოთ, მორჩა და გათავდა".

გაერთიანების ტენდენციის შესახებ ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და აღვნიშნავს მისი მიზეზები, დღეს ამ გაერთიანებამ და რუსულ კულტურის შემოჭრამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ არა თუ მასსა, არამედ თვით გამაერთიანებელნიც კი სამართლიანად [illegible]

ჩვენ ამ შემთხვევაში მიზნად არ ვისახავთ საერთოდ გამაერთიანებელი ტენდენციების დახასიათებას, [illegible] ბოლო უნდა მოეღოს.

ჩვენ გვინდა ქართული ენის ბედს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება, რომელიც ყველაზე მეტად განიცდის გაერთიანების შედეგებს.

რა გაკეთდა ქართული ენის განმტკიცებისათვის ჩვენში ნამდვილად განმტკიცებისათვის?—არაფერი.

შესაძლებელი იყო თუ არა. [illegible] შესაძლებელი იყო. მართალია ჩვენ ძალიან [illegible] მაგრამ ჩვენ და საერთოდ [illegible] ქართული ენის მცოდნე მუშები.

ამ ნაირი ობიექტიური საფუძველი პირობები იყო და არის ქართული ენის [illegible] მართალია ისიც, რომ ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი [illegible] ხალხი არ წარმოადგენს [illegible] მაშასადამე ობიექტიური პირობები [illegible] ქართული ენის [illegible]

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი [illegible] ქართული ენის [illegible]

რომ ქართული ენის მდგომარეობა ამ წუთისათვის ნაწილობრივ მაინც გასწორდეს [illegible] საკითხი—სათი მივდივართ? პასუხი ერთი „ენება—დენაციონალიზაციისაკენ.

იქნება ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს თუ არა?

ხერ. ამაღლობელი.

სიძველეთა გადმოტანის გამო.

საქართველოს სიძველეთა სიმდიდრე, რომელიც გაფანტულია უცხო ქვეყნების მუზეუმებში და არქივებში, მაჩვენებელია ჩვენი წარსული კულტურულ ცხოვრებისა. 120 წლის განმავლობაში რუს მეფეების მოხელეთა დროს ეს საქართველოს სიძველეთა სიმდიდრე [illegible] საქართველოს სიძველეები, რუსი გენერლები და [illegible] საქართველოს სიძველეების [illegible] 1783 წლიდან, [illegible] საქართველოს [illegible] ლობით.

რამდენადაც ცნობილია, ეს სიძველენი საქართველოს კულტურის შესასწავლად დიდ მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენს და მისი შეკრება და ჩამოტანა ამ შემთხვევაში რუსეთის და უკრაინის ქალაქებიდან მართლაც რომ დიდი საქმეა. და ის მოლაპარაკება, ის გადაწყვეტილება, რომელიც გამოიტანა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებამ საქართველოს განათლების სახალხო კომისრის დ. კანდელაკის იქ ყოფნის დროს, რომელიც აწარმოებდა ამის შესახებ მოლაპარაკებას, რასაკვირველია ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენი ერის, ჩვენი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში. მთელი ის განძეულობა, რომელიც გატაცებული თუ გატანილი ყოფილა რუსეთში და ინახება სხვა და სხვა ქალაქების მუზეუმებში, უბრუნდება საქართველოს.

პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკა, სამეცნიერო აკადემიის აზიის მუზეუმი, იარაღების პალატა და ამავე ქალაქის სხვა სიძველეთ—საცავები. მოსკოვის მთავარი არქივი, რუმიანცევის მუზეუმი, ქალაქი კიევი, ლივადია (ყირიმში), ნიჟნი ნოვგოროდი, ვორონეჟი, ტულა, ტობოლსკი, გეორგიევსკი, ყაზანი, პოლტავა და სხვ.—აი ის ცენტრალური ადგილები, სადაც ინახება საქართველოდან გატანილი სიძველენი, რომელნიც დიდ მნიშვნელობას აძლევდენ იმ მუზეუმებს, სადაც ისინი ინახება, ვინაიდან ამ სიძველეთა, მიხედვით რასაკვირველია, თვით მუზეუმების მნიშვნელობა დიდი იყო, რადგან მხოლოდ საქართველოს სიძველეთა წყალობით ეძლეოდათ მათ თავიანთი ნამდვილი სახე.

რასაკვირველია ყველა ამ სიძველეთა შეკრება და გადმოტანა საქართველოში და მათი მოთავსება საქართველოს მუზეუმებში ეს პირდაპირ საშვილიშვილო საქმეა, მას თანავე ჩვენს ნორჩ სამეცნიერო ძალებს ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტს ეძლევა ახალი დიდი მასალა, ჩვენს ახალგაზრდობას და საერთოდ მთელ ხალხს ეძლევა საშუალება სავსებით გაეცნოს ჩვენს წარსულ კულტურას რომლის გაქრობას, განადგურებას ასე ლამობდენ ჩვენი მტრები და საერთოდ მტრები მშრომელი ხალხისა.

დღეს კი, როდესაც ძლეულია მტერი მშრომელი ხალხისა და საქმე მართველობისა თვით მშრომელი ხალხის ხელშია, ყოველივე კულტურულ მუშაობას, ყოველივე კულტურულ საქმეს გზა ეხსნება, რაც აუცილებელი და შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა ხელისუფლების დროს მთელ მშრომელთა სასარგებლოდ.

ამას გვიმტკიცებს ზემოხსენებული აქტი, ხელშეკრულება, ძმური კავშირი, რომელიც თანდათან მტკიცდება საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და უკანასკნელი მოლაპარაკება რუსეთში, რომელსაც საქართველოს მთავრობის სახელით აწარმოებდა ჩვენი განათლების სახ. კომისარი დ. კანდელაკი რუსეთის მთავრობასთან იქაური სახალხო განათლების კომისრის ამხ. ლუნაჩარსკის საშუალებით, რომელსაც დიდი დახმარება აღმოუჩენია ამ საკითხის გადაწყვეტაში—ყოველივე ეს ფრიად მნიშვნელოვანია ორივე ერის ცხოვრებაში. ის სამეცნიერო კომისია, რომელიც ამ საკითხის მოსაგვარებლად უკვე მუშაობს რუსეთში პროფ. მარის და სხვა მეცნიერთა ხელმძღვანელობით, დაამთავრებს თავის მუშაობას, როდესაც აქედან მათ მიემატებათ საქართველოდან პროფ. კ. კეკელიძე და ვ. ინგოროყვა.

ის რაც უნდა გაკეთებულიყო მრავალ დროთა ვითარებაში, დღემდის ვერ გაკეთდა და ვერც გაკეთდებოდა და დღეს კი ჩვენ ვხდებით მოწმენი იმ დიდ საქმისა, რომელიც კეთდება საქართველოს სიძველეთა გადმოტანით რუსეთიდან საქართველოში, რასაც, რასაკვირველია, დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ექნება.

ხოხო ახლანიშვილი.

მუშათა საკითხი

წინად და ახლა*)

მუშათა ნივთიერი მდგომარეობა ცუდია, როცა ის მუშაობს. მაგრამ მიღებული ხელფასით ის ასე თუ ისე იკმაყოფილებს თავის ყოველდღიურ მოთხოვნილებას და გაჭირვებულ ცხოვრებას მიაჩანჩალებს. ლაპარაკიც მეტია იმაზე, რომ მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია თავისი ჯამაგირიდან თუნდ მცირედი ნაწილი გადადოს შავი დღისათვის. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც მუშა ვარდება ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის დროს. მწარმოებელი ავადმყოფობის დროს მუშას არა თუ არაფერს აძლევს, პირიქით, თუ ეს ავადმყოფობა ხანგრძლივი ხასიათის დარჩა, ის სამუდამოდ ითხოვს ადგილიდან და ამნაირად მუშის მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება. ერთი სიტყვით, მუშა მუდამ შიშის ქვეშ იმყოფება—ვაი რა მეშველება თუ ავად გავხდი. ხოლო ავადმყოფობა რომ ხშირი მოვლენაა მუშათა შორის, ეს ყველამ იცის.

ამ გარემოებას ძველად არავითარი ყურადღება არ ექცეოდა და არავინ ზრუნავდა მუშათა უზრუნველყოფაზე ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევის დროს. ასე იყო ევროპაში და ასე იყო, მით უმეტეს, რუსეთშიაც. მაგრამ იმდენად, რამდენადაც მუშათა მოძრაობა დასავლეთ ევროპაში თუ რუსეთში იზრდებოდა, ძლიერდებოდა, მუშათა უზრუნველყოფის ან დახმარების საკითხიც ავადმყოფობის დროს მეტ ყურადღებას იქცევდა თავისკენ. დღეს ამ საკითხს დიდი ისტორია აქვს დასავლეთ ევროპაში და ის ცნობილია „მუშათა დაზღვევის“ სახელწოდებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა სახელმწიფოში ეს საქმე ერთნაირად ვერ არის მოგვარებული და ერთში თუ მუშათა კლასი ამ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილია სახელმწიფოს კანონებით, მეორეში—სანახევროთ, ზოგში კი სამესამედოთ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, მუშათა დაზღვევის საქმე ომიანობამდე ყველაზე უკეთ გერმანიაში იყო მოგვარებული.

რუსეთის სახელმწიფოებრივმა პრაქტიკამ კი 1912 წლამდე არაფერი იცოდა მუშათა დაზღვევის შესახებ. მხოლოდ 1913 წელს გამოვიდა დებულება სავადმყოფო კასების შესახებ, რომელმაც, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, შესამჩნევად გააუმჯობესა დაქირავებული შრომის მდგომარეობა ავადმყოფობის დროს. ხსენებული დებულებით გათვალისწინებული იყო მუშის დახმარება ავადმყოფობისა, უბედურ შემთხვევისა და სიკვდილის დროს, ხოლო მუშის ოჯახის წევრებისთვის—ავადმყოფობის, მშობიარობისა და აგრეთვე სიკვდილის დროსაც. რაიცა შეეხება ინვალიდობას და უმუშევრობას, ეს მოვლენები ხსენებული დებულებით არ იყო მხედველობაში მიღებული.

—ყველა სამრეწველო ადგილებში წესდებოდა სავადმყოფო კასა, რომლის წევრობა სავალდებულო იყო როგორც მუშისთვის, აგრეთვე მწარმოებლისთვისაც. საწევრო გადასახადი დაწესებული იყო—მუშისთვის ხელფასის 1—2 პროცენტამდე, ხოლო მწარმოებელი თავის მხრივ ამ პროცენტებისაგან შემდგარ თანხისთვის უნდა დაემატებია ორი მესამედი, ე. ი. ვთქვათ, თუ მუშების საწევრო გადასახადი შეადგენდა 30 მ., მწარმოებელს უნდა გადეხადა 20 მ. აი ამ თანხიდან ეძლეოდა დახმარება ავადმყოფ მუშას, რომლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდა მუშის ჯამაგირის სამ მეოთხედს. ე. ი. თუ მუშის დღიური ჯამაგირი უდრიდა 2 მანეთს, მუშა ავადმყოფობის დროს მიიღებდა 1 მან. და 50 კ. რაიცა შეეხება წამლობასა და ექიმობას, ეს კანონით სავსებით დამქირავებელის ხარჯზე ხდებოდა.

მუშის ოჯახის წევრი სავადმყოფო კასიდან სარგებლობდა უფასო წამლობით და საექიმო დახმარებით. მუშა იღებდა ფულით დახმარებას აგრეთვე მისი ოჯახის წევრის სიკვდილისა და მშობიარობის შემთხვევაში.

ასე იყო მეფის თვითმპყრობელობის დროს. აქ მე არ ვეხები კასის მართვა-გამგეობის წესებსა და იმ უფლება—უპირატესობათ, რომელთაც ამ საქმეში ანიჭებდა კანონი მწარმოებლებს. მე მაინტერესებს მუშათა დაზღვევის საკითხის დღევანდელი ვითარება—ის, თუ რამდენად წავედით წინ საკითხში და რა რეალური გაუმჯობესება მოუტანა მუშათა კლასს ამ მხრივ თანამედროვე მდგომარეობამ.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ დღეს სავადმყოფო კასა აძლევს დახმარებას ინვალიდობის დროსაც, ე. ი. როდესაც ის მოხუცებულობისა თუ ფიზიკური დასუსტების გამო სამუდამოდ შორდება საწარმო დაზგას. საკითხი თითქმის გადაწყვეტილია და ჩქარა განხორციელდება უმუშევრობისაგან დაზღვევის საკითხიც. ყოველივე ეს და აგრეთვე ის, რომ საზოგადოდ მუშათა დაზღვევის ორგანიზაცია ძლიერ ფართოდ და მკვიდრად არის დაყენებული, საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ საქმე კარგად არის და მუშები ყოველ მხრივ უკეთეს პირობებში არიან ჩაყენებულნი, ე. ი. დაზღვეულნი არიან ავადმყოფობისა და სხვა და სხვა გაჭირვებისაგან, რომელიც თან სდევს მას განუშორებლად. მაგრამ საქმისთვის უფრო დაწვრილებით გავეცნოთ საკითხს, ფორმალური მხარეებიდან გადავიდეთ ფაქტიურზე და ჩვენს წინაშე სინამდვილის სულ სხვა გვარი სურათი გადაიშლება წინ, სურათი დამალული და უნუგეშო...

საქმე ის არის, რომ დღეს ფაქტიურად ავადმყოფი მუშა გაცილებით ნაკლებ დახმარებას იღებს, ვიდრე 1913 წ. იღებდა, თუმცა დახმარება მაშინაც და დღესაც ხელფასის ორი მესამედით განისაზღვრებოდა, (დღეს მძიმე ავადმყოფებს მთელ ხელფასსაც აძლევენ). დავამტკიცოთ ეს ციფრებით.

ხსენებულ პერიოდში, ე. ი. სავადმყოფო კასების დაარსების პირველ ხანებში, მუშის დღიური ხელფასი საშუალოდ 1 მ. 50 კ. უდრიდა, ხოლო დახმარება ორი მესამედი 1 მან. ამ ერთი მანეთით ავადმყოფს შეეძლო ეყიდა:

5 გ. პური—25 კ. 2 გ. ხორცი—25 კ. 1 გ. შაქარი—15 კ. 4 ჭიქა რძე—12 კ. 77 კ. და დარჩებოდა კიდევ წვრილმანი ხარჯებისათვის 23 კ. დღეს მუშა გაცილებით ნაკლებ ჯამაგირს იღებს მისი რეალური ღირებულების მიხედვით. ჯერ ერთი, ტარიფის დაწესების დროს მხედველობაში მიღებული არაა მუშის ოჯახის შემადგენლობა, არამედ მხოლოდ მუშა და მისაც მხოლოდ საცხოვრებელ მინიმუმის 75 პროც.-ს აძლევენ ასე, რომ საშუალოდ დღეს მუშა იღებს, ახალი, აწეული ტარიფის მიხედვით 100.000 მ. დღიურად. ამ თანხის ორი მესამედის მიცემით ავადმყოფი მიიღებს 67.000 მ.

გადავიტანოთ ეს თანხა იმ პროდუქტებზე, რომელსაც ის ყიდულობდა 1913 წელს და ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს:

5 გ. პური	50,000 მ.
2 გ. ხორცი	50,000 მ.
1 გ. შაქარი	25,000 მ.
4 ჭიქა რძე	20,000 მ.
წვრილმანი ხარჯები . .	25,000 მ.
სულ . .	170,000 მ.

ასე რომ საჭიროა 170,000 მ. ის კი იღებს დახმარების სახით 63.000 მანეთს, ან ნახევარზე ნაკლებს, ვინემ იღებდა 1913 წელს. ცხადია ასეთი დახმარება დახმარებად ვერ ჩაითვლება, ის მეტად მცირე და უმნიშვნელოა და ამიტომაც არის, რომ ჩვენ აქედან გამომდინარე მეტად ცუდ გარემოებასთან გვაქვს საქმე, რაიც მდგომარეობს იმაში, რომ ზოგი ავადმყოფი მალავს ავადმყოფობას და თავს არ ანებებს მუშაობას. თუ 1913—14 წლებში ჩვენ ვამჩნევდით, რომ ზოგიერთი მუშა იგონებდა ავადმყოფობას და სავადმყოფო კასაში გარბოდა დახმარების მისაღებად, დღეს, პირიქით, ავადმყოფი მუშა იგონებს კარგადმყოფობას და ჯიუტად სდგას სამუშაოზე. ის ამბობს.

—მთელი ჩემი დღიური ხელფასი რა არის და მისი ორი მესამედი ან სამი მეოთხედი რა უნდა იყოს, რომ იმით თავი შევინახოო, და მხოლოდ მაშინ მიდის ექიმთან, როდესაც ავადმყოფობა საბოლოოდ ანადგურებს მის ძალღონეს და მუშას აღარ შეუძლია არა თუ მუშაობა, უქმად ფეხზე დგომაც... ეს, რა თქმა უნდა, ნორმალურ მოვლენად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ჩვეულებრივი კია. ამაში ჩვენ, რასაკვირველია, ბრალს სავადმყოფო კასას და მის ხელმძღვანელთ ვერ დავდებთ, დამნაშავე თუა ვინმე, ისევ ის უსამართლო ტარიფი, რომელიც კარგადმყოფობის დროსაც ცუდ მდგომარეობაში აყენებს დაქირავებულს, ხოლო ავადმყოფობის დროს ეს მდგომარეობა ერთიორად და ერთი სამად უარესდება. მაგრამ სამართლიანობა და მუშა ხალხის სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს ავადმყოფობის დროს მაინც იქნას მუშა ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი. პირადად მე ვფიქრობ, თუ სხვა გზა და საშუალება არ არსებობს, უმჯობესია უარი ვთქვათ უმუშევრისათვის ფულით დახმარების მიცემაზე, ხოლო ავადმყოფისათვის დახმარების ნორმა აუცილებლად უნდა გავადიდოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზღვევის პრინციპი დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას, ვინაიდან ყველაზე უფრო დახმარებას მუშა სწორედ ავადმყოფობის დროს საჭიროებს, ვინაიდან სწორედ მაშინაა საჭირო კარგი სასმელ-საჭმელი და სხვა გვარი მოვლა.

ი. ტ—ძე.

---

*) შემდეგი—იხ. „ტრიბუნა“ № 248.

იურიდიული შენიშვნები *)

(კანონი და მოსამართლეთა საბჭო)

როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქართველოში, სასამართლოს ყველა დაწესებულებანი ჯერ შეაჩერეს და შემდეგ სრულიად გააუქმეს. დადგა ის ხანა, როცა სასამართლო არ არსებობდა, დარღვეულ უფლებათა აღდგენა შეუძლებელი იყო. ეკონომიური ცხოვრება კი რთულდებოდა, მოქალაქეთა ქონებრივი ურთიერთობა იხლართებოდა. ამ პირობებში, რაღა თქმა უნდა, სავსებით ბუნებრივი იყო ის ფაქტი, რომ ჩვენმა საზოგადოებამ დიდი აღფრთოვანებით შეხვდა სახალხო სასამართლოს დებულებას, რომელიც 1921 წლის ივლისის 30-ს გამოქვეყნდა.

მაგრამ ნათქვამია: „ამაოა კანონის წერა, თუ იგი არ იქნება ცხოვრებაში გატარებული“. კანონი უნდა სრულდებოდეს, ცხოვრებაში ხორციელდებოდეს. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, მოსამართლეთ შეითვისონ კანონმდებლის მისწრაფებანი, კანონის ნამდვილი აზრი. იურიდიული ჰერმენევტიკის, კანონის ახსნა-განმარტების როლი ჩვენმა დებულებამ სახალხო მოსამართლეთა საბჭოს არგუნა. მაგრამ ასრულებს კი საბჭო ამ საპატიო მოვალეობას?—გაუტეხელს გატეხილი სჯობიაო,—ნათქვამია. ჩვენც გულახდილად უნდა ვაღიაროთ აქ, რომ საბჭო (ჩვენ გვაქვს სახეში მისი სამოქალაქო განყოფილება) დადგა სამწუხაროთ იმ გზას, რომელიც, მგონია, ერთობ გვაშორებს არსებულ სამართლის წარმოების დედა-აზრს.

საგაზეთო წერილის ფარგლები არ გვაძლევს საშუალებას, დაწვრილებით აგიხსნათ აქ მთელი სტრუქტურა სახალხო სასამართლოისა. **) მაგრამ გაკვრით მაინც უნდა მოვიგონოთ უმთავრესი იურიდიული დებულებანი, რომლის გარეშეც ჩვენი წერილი გაუგებარი დარჩება.

დედა-აზრი დღევანდელი სამოქალაქო სამართლის წარმოებისა იმაშია, რომ უწინდელი ფორმალიზმი უარყოფილია, რომ სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობა ხალხის წარმომადგენლებია, რომელთაც, როგორც არა-იურისტებს, არა-სპეციალისტებს, და მაშასადამე, ყოველივე ფორმალიზმისაგან განთავისუფლებულს, ერთი სახელმძღვანელო, ერთი საზომი აქვთ საქმის გადასაწყვეტად. ეს საზომი—მათი შეხედულებები, მათი რწმენა, მათი სინიდისია.

მაშასადამე, სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება მისს სინიდისზე უნდა იყოს დამყარებული. და როდესაც სასამართლო თავისუფალი სინიდისით სჯის საქმეს, მაშინ, როგორც ეს იურიდიულ მეცნიერებაში ცნობილია, ის არაა ვალდებული თავის გადაწყვეტილება ჯეროვნად დაასაბუთოს. ხალხის წარმომადგენელს, უბრალო მუშებს, სინიდისმა, შეიძლება, ერთგვარი გადაწყვეტილება გამოატანინოს. ისინი ამ გადაწყვეტილების დასაბუთებას ვერც კი მოახერხებენ. ასეთია ნამდვილი აზრი მე 106 მუხლისა, რომელიც კარნახობს, რომ გადაწყვეტილებაში უნდა იყოს მოყვანილი მისი „არსი და საფუძველი“, ესე იგი ის, რაც უნდა იყოს აღნიშნული მედიატორის განაჩენში და არა ის „მოსაზრებანი“, რომელთაც თხოულობდა სასამართლოსაგან 64 წლის სამოქალაქო სამართლის წესდება (711 მ.)

თუ ჩვენ სახალხო სასამართლოს დაწვრილებითი ანგარიშს ვერ მოვსთხოვთ იმ საკითხში, რა მოსაზრებით მან მიიღო ამა თუ იმ დასკვნამდე შესახებ საქმის გარემოებისა,—თავის თავად ცხადი უნდა იყოს, რომ მეორე ინსტანციაში არ გადისინჯება არსებითად სასამართლოს განჩინება, თავისუფალ სინიდისზე აგებული. მაშასადამე, მოსამართლეთა საბჭო აპელაციური ინსტანცია არაა, სადაც ხელმეორედ ირჩევა საქმის გარემოებანი,—ის საკასაციო დაწესებულებაა. ამის დასამტკიცებლად ჩვენ მივუთითებთ დებულების 111, 118, და 120 მუხლებს, რომელთა საერთო აზრი იმაში მდგომარეობს, რომ: 1) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება დაბოლოებითია, 2) მოსამართლეთა საბჭო საკასაციო ინსტანციაა და 3) სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში უნდა იქნას გაუქმებული. ეს შემთხვევები გათვალისწინებული არიან 118 მუხლში, რომელიც ამბობს: „სახალხო მოსამართლეთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ სცნობს დეკრეტის არსებითად დარღვევას ან უწესო შეფარდება-განმარტებას, კერძოთ სამართლის წარმოების წესის დარღვევას, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ [illegible] გასაჩივრებული გადაწყვეტილება (ცხადად უსამართლო) [illegible] ლი კიდევ არ კმაყოფილდება. როცა მოსამართლეთა საბჭო გადაწყვეტილებას აუქმებს, მან თავი უნდა გაამართლოს თავის მოქმედებაში, ანგარიში უნდა იძლიოდეს, სად, რაში იპოვა მან თუნდაც ერთი იმ სამი საბაბიდან, რომელნიც ზევით არის აღნიშნული. 120 მუხლი პირდაპირ ამბობს: „გადაწყვეტილების გაუქმების დროს სახალხო მოსამართლეთა საბჭომ უნდა აღნიშნოს: რაში მდგომარეობს სახელდობრ კანონის უწესო შეფარდება, სასამართლოს რომელი ფორმაა დარღვეული ან და რაში გამოიხატა გადაწყვეტილების აშკარა უსამართლობა“.

ასეთია კანონი. აბა ახლა ვნახოთ, როგორ ასრულებს საბჭო ამ კანონს, როგორ ახორციელებს იგი ცხოვრებაში სახალხო სამართლის იდეას. ამ კითხვის საილუსტრაციოთ უნდა მოვიყვანოთ აქ რამოდენიმე მისი განჩინება, მაგრამ ეს შემდეგ იყოს.

დ. კვირკველია.

---

*) რედაქციისაგან: ქართულს პრესაში, შეიძლება ითქვას, სულ არ იწერება წერილები იურიდიულ საკითხის შესახებ. ჩვენი ცხოვრების დღევანდელი პირობები და ის ცვლილებანი, რომელიც განიცადა ჩვენმა სასამართლოებმა მოითხოვენ ამ საკითხზედაც იქმნეს მიქცეული სათანადო ყურადღება. ამიტომ რედაქცია უთმობს ადგილს მოქ. დ. კვირკველიას წერილებს. თავის აზრს რედაქცია შემდეგში გამოსთქვამს.

რედ.

**) იხ. ჩემი წერილები „მომავალში“ №№ 30, 32.

პრესა

ძმური კავშირისათვის.

გაზ. „კომუნისტი“ მოწინავე წერილში ეხება საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს ურთი ერთობის საკითხსა და აღნიშნავს, რომ თვით მპყრობი რუსეთის იმპერიალისტური და მცირე ერების დამონების პოლიტიკა სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას და საბჭოთა რესპუბლიკების დამყარებით დადგა სრულიად ახალი პერიოდი ამ ერთა შორის, რომელიც ურთიერთ პატივისცემის, თანამშრომლობის და დახმარების ნიადაგზედ არის აღმოცენებული. გაზეთს ამ დებულების დასამტკიცებლად მოყავს ის გადაწყვეტილება რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებასა, რომლის ძალითაც საქართველოს უბრუნდება ძველი რეჟიმის დროს რუსეთში გაზიდული ძვირფასი საარქივო განძეულობა. გაზეთი სწერს:

„როგორც ვიცით, მეფის მთავრობამ, რომელიც ისახავდა მიზნად ქართველი ხალხის, სხვათა შორის კულტურულ განადგურებას, გაძარცვა ჩვენი ერი კულტურულად და გაზიდა რუსეთში აუარებელი, ფასდაუდებელი სხვა და სხვა განძეულობა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრების და შემოქმედების საუცხოვო ნიმუშს.

ქართველ საზოგადოებრივ წრეებში არა ერთხელ დასმულა საკითხი ამ განძეულობის უკან დაბრუნების შესახებ, არა ერთი და ორი საამისო შუამდგომლობა აღუძრავთ მეფის მთავრობის წინაშე, მაგრამ ეს უკანასკნელი აინუშიაც არ იღებდა ჩვენი ხალხის კანონიერ და სამართლიან მოთხოვნილებას და ეს, რასაკვირველია, ასეც იყო მოსალოდნელი.

ეს საჭირ-ბოროტო და მტკივნეული საკითხი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გადასჭრა ქართველი ხალხის სასარგებლოდ.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გადადგა ამ მხრივ ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი და აღნიშნულ საქმის მოსაგვარებლად გაგზავნა თავისი წარმომადგენელი მოსკოვში. შემდეგ ვიცით: რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობა, იქაური პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ ამ საქმეს და გადაწყვიტეს დაუბრუნდეს საბჭოთა საქართველოს ყველა კულტურული განძეულობა, რომელიც წინედ იყო აქედან გაზიდული, მთელი ეს სიმდიდრე, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების დადგენილებით, უნდა იქნას გადმოტანილი არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისისა.

ამ გვარად, მხოლოდ საბჭოთა

ლისუფლებამ გამოასწორა ის დიდესი ისტორიული უსამართლობა, რომელიც ჩაიდინა რუსეთის ყოფილმა თვითმპყრობელმა მთავრობამ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს, ის ერთხელ კიდევ ზედმეტად მოწმობს ძმურ კავშირზე საქართველოსა და რუსეთის შორის. ამასთან იგი ახალ სტიმულს და წყაროს მისცემს ქართველ ხალხის მეცნიერულ და კულტურულ განვითარებას.

და ეს დიდი საქმე ჩაიდინა საბჭოთა ხელისუფლებამ, ახალ რევოლიუციონურმა რუსეთმა, რომლის წინააღმდეგ ჩვენი ხალხის მტრები და მოღალატენი ცდილობენ აამხედრონ ის გამოგონილი ჭორებით რუსეთის „წითელ იმპერიალიზმის“ შესახებ. მაგრამ დღეს გამოქვეყნებული ფაქტი განძეულობის დაბრუნების შესახებ ერთხელ კიდევ დაარწმუნებს ქართველ ხალხს, თუ როგორია რუსეთის „იმპერიალიზმი“ და ნიადაგს გამოაცლის ყოველ ჯურის პროვოკატორებს.

ალაგმვა ამ პროვოკატორების, საბოლოო გაფანტვა ნაციონალური უნდობლობის რუსეთის ხალხისადმი, კავშირის უფრო განმტკიცება საქართველოსა და რუსეთს შორის, რასაც დიდათ შეუწყობს ხელს ზემოდ ხსენებული გადაწყვეტილება საბჭოთა მთავრობის,—ასეთია ჩვენი ამოცანა, რომლის განხორციელებას მთელი ძალღონით უნდა ვცდილობდეთ“.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

ტფილისის ქალაქის საბჭოს 17 ივლისის სხდომაზე ამხ. ლადო დუმბაძემ გამოაქვეყნა დეპეშა, რომელიც მიიღო ამხ. ორჯონიკიძემ ამხ. სტალინისაგან:

„გუშინ თვენახევრის შესვენების შემდეგ, ექიმებმა ნება დართეს ილიჩს ინახულოს მეგობრები და რამდენიმე საათით იმუშაოს. მე ვიყავი ილიჩთან და დავრწმუნდი, რომ მისი ჯანმრთელობა სავსებით გამოკეთდა. დღეს უკვე მივიღე მისგან წერილი დირექტივებით მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე. ექიმები ფიქრობენ, რომ ერთი თვის შემდეგ მას შეძლება ექნება კვლავ ძველებურად განაგრძოს მუშაობა.“

ამ დეპეშას საზოგადოება შეეგება ცხარე ტაშის ცემით და პლენუმმა ერთხმად დაადგინა გაუგზავნოს ილიჩს მისასალმებელი დეპეშა მისი განკურნების გამო.

გაგზავნილი იქნა შემდეგი დეპეშა: „ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭომ მოისმინა რა ამხ. სტალინის დეპეშა თქვენი საბოლოო განკურნების შესახებ, გიგზავნით სახელოვან ბელადს და საერთაშორისო პროლეტარულ რევ. ნაერთა სულის ჩამდგმელს თავის მგზნებარე მხურვალე სალამს“.

ჰააგის კონფერენცია

ჰააგაში

რომი. 18 ივლისი. არარუსული კომისიის თავმჯდომარემ ჰააგაში აცნობა ლიტვინოვს, რომ ქვეკომისიას განზრახული აქვს მიიღოს მსჯელობაში რუსეთის დელეგაციის განცხადებანი, რომელიც შეიცავს წინანდელ განცხადებებს. ლიტვინოვმა ხელახლა მიიღო წინადადება მოლაპარაკების განგრძობის შესახებ.

მოსკოვი. 18 ივლისი. ჰააგიდან 14 ივლისის თარიღით იტყობინებიან: კრედიტების კომისიის სხდომაზე თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შექმნილ მდგომარეობის გამო შეუძლებელია სხდომის გაგრძელება. იუნგმა აღნიშნა, რომ კომისია ვერ დააკმაყოფილა რუსების გეგმამ კრედიტების შესახებ, რომელიც გულისხმობს საბჭოთა მთავრობისთვის კრედიტის მიცემას, რომელსაც სათანადო ნდობას არ უცხადებს. ლიტვინოვის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კულუარებში ამბობდნენ, რომ სიტყვაში აღნიშნული იყო შესაძლებლობანი მოლაპარაკების განგრძობისა. მაგრამ კონფერენციის ბედ-იღბალი წინდაწინ გადაწყვეტილი ფორმალურად. კონფერენცია ჯერ არ დამთავრებულა. გაიმართება სხდომა საერთო რეზოლიუციის მისაღებად.

— ლიბერალური ევროპიული პრესა გაკვირვებულია ჰააგის მარცხით. გაზ. „მენჩესტერ გარდიენი“ აღნიშნავს, რომ დარჩა სეპარატიული შეთანხმების მეთოდები. არის მრავალი ნიშნები იმისა, რომ ზოგიერთი სახელმწიფონი ამას მოახერხებენ. კონფერენცია ჩაშალა კერძო საკუთრების საკითხმა. ის პირობები, რომელნიც არ მიიღეს მთავრობებმა, შეიძლება მიიღონ კერძო ფირმებმა. ინგლისმა საკუთრების საკითხში გაიზიარა საფრანგეთის თვალსაზრისი, თუმცა კომპენსაციის პირობები, რომელიც რუსეთმა წარმოადგინა ინგლისისთვის მისაღები იყო.

ფრანგული გაზეთი „ერი“ ფიქრობს, რომ კონფერენციის მარცხი მოულოდნელი არ იყო, ვინაიდან კონფერენციის მეთოდები ცუდი იყვნენ. გაზეთი „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ჰააგის გაკვეთილი მაჩვენებელია იმისა, რომ შეუძლებელია საბჭოთა მთავრობასთან კომპრომისზე წასვლა. ამასვე ამბობს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“.

გერმანიის ამბები

დამოუკიდებელთა სამარცხვინო ღალატი

ბერლინი, 7 ივლისი. მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატთა მემარჯვენეების ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოუკიდებელთა კოალიციაში შესვლის შესახებ ჯერ-ჯერობით უნაყოფოა. ბურჟუაზიული პარტია უფრო მარჯვენით. მიდიან სახალხო პარტიისაკენ (სტინესი) ვიდრე დამოუკიდებლებისაკენ.

„ფორვერტსი“ და „ფრაიხაიტი“ აღშფოთებულნი კოალიციონური პარტიების მიმართ. პირველი ემუქრება ბურჟუაზიულ პარტიებს პარლამენტის დათხოვნით თუ დამოუკიდებლებს არ დაეთმობათ რამდენიმე პორტფელი. გაზეთი აღნიშნავს, რომ თუ დამოუკიდებლები არ იქნენ დაშვებული კოალიციაში გერმანიაში იფეთქებს სამოქალაქო ომი. „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლების შესვლა მთავრობაში არის სამარცხვინო ღალატი პროლეტარიატის მიერ.

უცხოეთი

ირლანდიაში.

რომი. 18 ივლისი. ირლანდიაში ლიმერიკის მახლობლათ მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ახალი პოზიციები და წაიყვანეს 250 ტყვე.

პოლონეთში.

რომი. 18 ივლისი. იტყობინებიან, რომ პოლონეთის სახელმწიფოს მეთაური პილსუდსკი გადადგა კორფანტის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ არჩევის გამო.

ლოიდ ჯორჯის სიტყვა.

ლონდონი. 18 ივლისი. უელსის პრინცის საპატივცემლო სადილზე ლოიდ-ჯორჯმა სთქვა, რომ პრინცის მოგზაურობას ინდოეთში აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ვინაიდან ინდოეთი არის ბრიტანეთის იმპერიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ომის დროს ინდოეთმა გამოიჩინა არაჩვეულებრივი გმირობა და დაიცვა ინგლისის ღირსება.

ტ ი ბ ე ტ ი.

კრაუდენი. 18 ივლისი. ტიბეტში გაემგზავრა ლონდონიდან სამეცნიერო პოლიტიკური მისია გამოჩენილ ინგლისელ, ორიენტალისტის ექიმ მიგაეერის მეთაურობით. ტიბეტში განზრახულია დიდი ანტროპოლოგიური მუშაობა, რომელიც ახალ სინათლეს მოფენს კაცობრიობის რასათა წარმოშობას. ტიბეტის ბიბლიოთეკაში მრავალი ძვირფასი წიგნებია, რომელიც სრულებით უცნობია მსოფლიოსათვის. მისიას განზრახული აქვს გადაიღოს ამ წიგნების ასლები.

იტალიის მინისტრთა საბჭოში.

რომი. 18 ივლისი. მინისტრთა საბჭო დღეს რომში იხილავდა საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობის საკითხს, შანცერის მოგზაურობისა და მისი ლოიდ-ჯორჯთან და პუანკარესთან თათბირის გამო.

ფაშისტები და ერთა თვითგამორკვევის საკითხი.

ფაშისტების მეთაურმა მუსოლინიმ შეიტანა იტალიის პარლამენტში წინადადება, გაუქმებულ იქნას სევრის ხელშეკრულება ინგლისისა და საფრანგეთს შორის და ყველა მანდატები სირიაზე, ლივანსა და პალესტინაზე, რადგან ეს მანდატები ძალდატანებას ახდენენ ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე. მუსოლინი მოითხოვს, რომ იტალიის წარმომადგენლებმა ერთა ლიგაში გასწიონ აგიტაცია ამ მანდატების დამტკიცების წინააღმდეგ.

სოციალისტები ზანგების ექსპლოატატორთა რიგში.

ვარშავა. 6 ივლისი. ვანდერველდეს ამხანაგმა პარტიულად და ინტერნაციონალით, ვოლკერტმა წარმოსთქვა ბელგიის სენატში გრძელი სიტყვა აფრიკაში ბელგიის კოლონიის კონგოს მდგომარეობის შესახებ და ამასთანავე ხაზი გაუსვა, რომ სოციალისტები არასოდეს არ ყოფილან კოლონიზაციის პრინციპის მოწინააღმდეგენი და ილაშქრებდნენ მხოლოდ ადგილობრივ მკვიდრთა გადამეტებულ ექსპლოატაციის წინააღმდეგ. „სოციალისტები,—განაცხადა ვოლკერტმა,—ყოველგვარი ზომებით შეეცდებიან მხარი დაუჭირონ კოლონიზაციის იდეას რომელიც აგებული იქნება სამართლიანობის პრინციპებზე. ვოლკერტის აზრით, კონგოში უნდა გატარებულ იქმნას ზოგიერთი რეფორმები, რადგან შავკანიანების სამიწადმოქმედო და სამრეწველო განვითარება არ სდგას შესაფერისს სიმაღლეზე. მასთანავე მან წინადადება მისცა მიწოდება ყველა საჭირო მასალებისა რკინის გზის გაყვანით და მდინარეთა გემების ამაშენებლად კონგოში დააკისრონ გერმანიას.

ახალი ამბები

— სკოლებისა და საბჭოთა სახლების რემონტი. ტფ. ქალ. აღმასკომის სამეურნეო ქვეგანყოფილება სასწრაფოდ ადგენს ქალ. სკოლებისა და საბჭოთა სახლების რემონტისათვის საჭირო სმეტას.

— ავადმყოფთა გაგზავნა აგარაკებზე. დამზღვევი კასის ექიმთა რეცეპტით ყველა აფთიაქები ქალ. აღმასკომისა ვალდებულია უფასოთ მისცენ წამლები მუშებს და მოსამსახურეებს, რომლის ღირებულებას იხდის დამზღვევი კასა.

— მესამე ცეცხლის მქრობელი რაზმი. ტფ. ქალ. აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ შეადგინა გასავლის სმეტა რაოდენობით 50 მლ. მან. მოაწყოს სახლში № 23 კახეთის ქუჩაზე ბინა მესამე 8 ცხენიანი ცეცხლის მქრობელი რაზმისათვის.

— ურთიერთდამხმარე ახალი საზოგადოება. შრომის კომისარის ნებართვით შინამწარმოებელთა ხელოსნების გამგეობა ამუშავებს წესდების პროექტს ურთიერთ დამხმარე საზოგადოებისა დამოუკიდებელი შრომის და თავისუფალი პროფესიის პირთათვის.

სამხატვრო ქრონიკა

— საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. პარასკევს, ივლისის 21-ს, საღამოს 8 ნახ. საათზე, ეროვნულ გალერეის დარბაზში, მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც ლეონ მელიქსეთ-ბეკი წაიკითხავს მოხსენებას: „ნაკვეთები სომეხთა კოლონიზაციის ისტორიიდან საქართველოში“ (I ვანქის დაარსების საკითხი. II. თბილისის ეპიგრაფიკა). კრებას გარეშეებსაც შეუძლიათ დაესწრონ.

პ. ინგოროყვას მოხსენება. კვირას, ივლისის 16-ს, ხელოვნების სასახლეში ახალ მწერალთა კავშირის მორიგ საღამოზე, პავლე ინგოროყვამ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ჰერეთის ქართული დიალექტიზმები რუსთველის ვეფხის ტყაოსანში“. ეს მოხსენება არის გაგრძელება იმ ლექციების, რომელიც ახალგაზრდა ისტორიკოსმა წაიკითხა შოთა რუსთაველის შესახებ. მოხსენება მეტად შინაარსიანი გამოდგა.

— „უქიმერიონი“ გამოვიდა ქუთაისის მწერლობის ორგანო ჟურნალი „უქიმერიონის“ № 2. მონაწილეობენ: ტ. გრანელი, თ. ხუსკივაძე, დ. თომაშვილი, სილოვანი, დია ჩიანელი, ლ. სორტელი, ჯ. ჯორჯიკია, ნ. ლორთქიფანიძე, ვასილ წერეთელი, ვარლამ ხუროძე, ვალიმ ნორაკიძე, ვასო გორგაძე. ჟურნალი ტფილისშიც გაიყიდება.

მუშათა წერილები

კიდევ პოლიგრაფია.

ამ რამდენიმე დღის წინად ჩვენ ერთი პატარა წერილი ვუძღვენით პოლიგრაფიულ წარმოებას, რასაც შიაც აღვნიშნავდით ჩვენ მთელ დადებითი მხარეებს ნაციონალიზაციის შემდეგ ახლად ფეხზე წამომდგარ წარმოებისას. არც ერთი დეფექტი, არც ერთი უარყოფითი მხარე ჩვენ არ აღგვინიშნავს. ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ მე პირადათ, როგორც მბეჭდავმა მუშამ, ბევრი სტამბის მუშა ამხანაგებიდან მოვისმინე საყვედურები იმის შესახებ, თუ რატომ ჩავიდინე ასეთი „საეჭვო“ საქმე და რადგანაც პოლიგრაფიაზე წერილი დავწერე, რატომ დადებითი მხარესთან, უარყოფითიც არ აღვნიშნე. ამხანაგების საყურადღებოდ უნდა განვაცხადო, რომ აქ ცოტა არ იყოს გაუგებრობასთან გვაქვს საქმე: როდესაც მე პოლიგრაფიაზე წერილი დავწერე, იმ წერილის დანიშნულება რა თქმა უნდა სრულიადაც არ იყო ის, რომ მისი დეფექტებიც აღმენიშნა, წერილს ჰქონდა წმინდა პრინციპიალური ხასიათი და შეეხებოდა იმ სადავო საკითხებს, რომელიც დღესაც არსებობს ბურჟუაზიისა და მუშათა კლასს შორის. თვით „წერილის სათაური „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“, ნათელსა ჰფენდა წერილის შინაარს და ამისი არ გაგება მით უმეტეს მბეჭდავ მუშებს—პირდაპირ არ ეპატიებათ.

—

სამაგიეროდ, იმავე პოლიგრაფიაზე გაზ. „ტრიბუნაში“ № 247 ამხ. ტევტონი ისეთ ბრალდებებს აყენებს პოლიგრაფიის წინაშე, რომ ასეთი მუშათა „დამცველობა“ არა თუ მიზანშეწონილობას მიეწერება, არამედ იგი ყოვლად საზღვარს გადაცილებულია. მისი წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ამხ. ტევტონი სამწუხაროდ ძალიან ჩამორჩენილი ყოფილა მუშათა მოძრაობიდან, ის ალბად ბურჟუაზიულ მენშევიზმის ზეგავლენით მოკლებულია იმ საშვალებას, რომ ჰქონდეს უნარი იმის გაგებისა, თუ საბჭოთა ქვეყნებში რა მიზნებს ისახავს მუშათა კლასი, როდესაც ის, (მუშათა კლასი) სახელმწიფოს სათავეში ექცევა. მაგრამ, „როგორც ეტყობა ამხ. ტევტონი არა თუ მარტო ამის გაგებას ყოფილა მოკლებული, არამედ მას ისიც კი არა სცოდნია, რომ პოლიგრაფიას „ხაზეინი“, როგორც ასეთი არა ჰყავს და მისი ბატონ-პატრონი მხოლოდ და მხოლოდ თვითონ ამხ. ტევტონია და მისი მსგავსი მუშები.

ამხ. ტევტონს უნდა მოეხსენებოდეს, რომ პირადულ თვალსაზრისიდან გამოსვლა არის ეგოიზმი, რომელსაც ხალხთა ინტერესთან და სოციალიზმთან საერთო არაფერი არა აქვს. ამასთან ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ წარმოებას და ამ შემთხვევაში პოლიგრაფიას არავითარ შემთხვევაში არ ძალუძს გამონაკლისი დაუშვას, იგულისხმება, თუ ამხ. ტევტონს დაუჯერებთ, რომ მუშები პოლიგრაფიას საერთოდ ცუდ პირობებში უნდა ჰყავდეს ჩაყენებული.—პოლიგრაფია მარტო ჯამაგირების დაკლებაზე ფიქრობს და ავიწყდება, რომ მუშებს ცოლშვილიც გვყავს, მაგრამ—სხვისა ჭირი, ღობეს ჩხირი—ასე ფიქრობს პოლიგრაფიაო. შეიძლება ამხ. ტევტონო, სერიოზულ მუშას ასეთი წარმოდგენა ჰქონდეს პოლიგრაფიაზე? დაუშვათ ერთი წუთით, რომ მართლა პოლიგრაფია მუშათა კრიტიკულ მდგომარეობას იოტისოდენა ანგარიშს არ უწევს, მაგრამ, ერთი ეს მითხარით, თქვენი მოპყრობა როგორია არის პოლიგრაფიისადმი? გინაღვლიათ როდისმე მისი მდგომარეობისათვის. ერთხელ მაინც დაინტერესებულხართ მისი აღმშენებლობაში? გიფიქრიათ კი როდისმე, რომ გაიგოთ მისი გასავალ-შემოსავლის წყაროების ჯამი.

მერწმუნეთ ამხ. ტევტონო, თქვენ რომ ახლო იდგეთ პოლიგრაფიის საქმესთან, თქვენს თავს ბავშურ მდგომარეობაში არ ჩააყენებდით და არ იტყვით ხელაღებით—რა ჩემი საქმეა, მე კი მომცენ და რაში მეკითხება არის თუ არ არისო. ასეთი თქმა პირდაპირ ატირებული ბავშვის საქციელია. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის მუშათა მოთხოვნილება და საჭიროება, ვინაიდან დღევანდელი ჩვენი შრომის საფასური საცხოვრებელ მინიმუმის ნახევარს ძლივს უდრის. ტევტონი რომ მუშათა ცხოვრებით დაინტერესებული იყოს, უეჭველად რომ ეცოდინება, ტფილისში არიან ისეთი დარგის მუშები, რომელნიც ჩვენზე უკეთეს პირობებში იმყოფებიან შრომის ხელფასის მიღების მხრივ, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც ჩვენზე ბევრად ცუდ მდგომარეობას განიცდიან, მაგრამ ამ მხრივ ჩვენი დარგის მდგომარეობა საშუალოა. რატომ ხდება ასე? რა თქმა უნდა ძალიან ძნელია გაზეთის ფურცლებზე მთელი დეტალების აღწერა. ამისათვის არა კმარა მარტო განდეგილობა, არამედ საჭიროა საქმესთან დაახლოვება და გაგება იმისა, თუ რა მიზნები აქვს საბჭოთა ხელისუფლებას პერსპექტივაში დასახული და რა შინაარსი უხდება მას სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. ძველი წყობილების მოსპობა, რომელიც დასახული აქვს მსოფლიოს მუშათა კლასს, საბჭოთა ქვეყნებში და კერძოთ საქართველოში, სავსებით თუ არა, საგრძნობლად განადგურებულია და ამ ჟამად ჩვენ ვიმყოფებით ახალი ცხოვრების აღმშენებლობის პროცესში, გარდაქმნის ხანაში და ამ ბრძოლაში მუშათა კლასს უხდება არა მარტო დაბრკოლებათა გადალახვა, მტერთა შეჩერება და მატერიალური მსხვერპლის გაღება, არამედ ფიზიკურისაც! ამის არ გაგება თანამედროვე მუშისთვის დიდი სირცხვილია. ჩვენ ვფიქრობთ, ტევტონისთვის, როგორც მბეჭდავისთვის, ყველაფერი თუ არა, პოლიგრაფიულ წარმოების მდგომარეობა მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რაც ხდება მთელ საბჭოთა რესპუბლიკებში და კერძოთ საქართველოში. მაგრამ ტევტონი ამას როდი დაგიჯერებთ, ის ფიქრობს, მე მომეცით და ჩემს გარეშე თუნდ ქვა-ქვაზედ ნუ ყოფილა. მან არ იცის, რომ ჩვენ შთამომავლობის წინაშე პასუხისმგებლობა გვაწევს, მან არ იცის, რომ ამას ერისა და სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, ტევტონს ალბად ცოლი და შვილი გულიდან დაავიწყდება მისი მოვალეობა. ტევტონს ავიწყდება, რომ პოლიგრაფიის დაცემა—ეს სახელმწიფოს და მუშათა კლასის დაცემაა, ვინაიდან პოლიგრაფიას არა ჰყავს სხვა პატრონი გარეშე სახელმწიფოსი და მუშებისა. ტევტონს ალბად ისიც მოეხსენება, რომ ამ ჟამად ტფილისში სწარმოებს სრულიად საქართველოს მბეჭდავ მუშათა ყრილობა, სადაც არა თუ ნეტარხსენებული ბურჟუაზია, არამედ არც ერთი თუნდაც სოციალისტი ინტელიგენტი დებულობს მონაწილეობას, გარდა თვით ქარხნის და დაზგების მუშებისა. ტევტონმა თუ არ იცის, უნდა მოვახსენოთ, რომ სრულიად საქართველოს მბეჭდავ მუშების ყრილობა არის უმაღლესი ორგანო და უზენაესი უფლების მატარებელი. ის ამ ჟამად მსჯელობს: რა წავაგო, რა მოვიგო, რა გავაკეთე და რა გავაფუჭე და ბოლოს, რა დეფექტები ჰქონდა და როგორ უნდა გამოსწორდეს ის. ნუ თუ ამხ. ტევტონი იფიქრებს, რომ ყრილობის წარმომადგენლობა დაახლოებით 60 მუშა, ყველანი უპასუხისმგებლოები არიან და „მარტო“ ტევტონი არის რომელსაც მხოლოდ ერთს ახსოვს მუშების ინტერესების დაცვა? რა თქმა უნდა რომ გულუბრყვილობაა.

დასასრულ უნდა ურჩიოთ ტევტონს, რომ ცხოვრებაში მისი პირველი მოვალეობაა იზრუნოს და იბრძოლოს როგორც თავის თავისთვის, აგრეთვე მთელი ცხოვრებისთვის. აუცილებლად უნდა შეიტანოს თავისი წვლილი მუშათა ცხოვრებაში. წეროს წერილები მუშათა ცხოვრებიდან, აღნიშნოს არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი მხარეებიც, თორემ ცოტა არ იყოს ეგრეფერი გულშემატკივრობაა მუშათა კლასისათვის მაშინ, როდესაც იგივე მუშათა დაწესებულებას, პოლიგრაფიას ცალმხრივად უდგება.

ტევტონმა, როგორც მბეჭდავმა ძალიან კარგად იცის, რომ ჯამაგირების დაკლება მიუხედავად ბევრი ლაპარაკისა, ფაქტიურად არ მომხდარა და თუ ეს ასეა—მაშ, რამ აიძულა ტევტონი დაეწყო ლაპარაკი იმაზე, რაც სალაპარაკო არ იყო?

ამხ. ტევტონო, როდესაც თქვენ მუშათა ცხოვრებაზე არა თუ რამეს სწერავდეთ, არამედ თუნდაც ფიქრობდეთ, მხედველობიდან არ გამოგეპაროთ, რომ პროფესიონალური კავშირი არის ის წარმომადგენლობა, რომელმაც უკიდურესობაში გადავარდნა არ იცის. ის იცავს მუშათა ინტერესებს იმდენად, რამდენადაც დაცული იქნება იგივე მუშათა წარმოება ე. ი. პოლიგრაფია.

ამის გარეშე მოქმედება ნიშნავს „იმ ტოტის მოჭრას, რომელზედაც ჩვენ ყველანი ვსხედვართ.

ასოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.

ნათესების მდგომარეობა ჩვენში

(ცენ. სტატისტიკური სამმართველოს მიხედვით)

ქუთაისის მაზრა. სასოფლო-სამეურნეო კულტურის მდგომარეობა პირველ ივლისს ხუთ ბალიანი სისტემის მიხედვით უდრიდა სიმინდი—3. პური—2,8. ქერი—3,3. ღომი—

3,1 შვრია—2,8; ლობიო—2,9; კართოფილი—2,5; ბოსტანი—2,8; თამბაქო—2,3; ბამბა—2,4; ბაღები 3,9; ვენახი—2,5.

ამ რიგად მოსავლის პირი საერთოდ საშუალო და საშუალოზე მეტია.

გასული წელთან შედარება გვაძლევს შემდეგ სურათს:

	1 ივლის 1921 წ.	1 ივლ. 1922 წ.	
სიმინდი	2,1	3,7	+ 1,6
პური	1,5	3,8	+ 2,3
ლობიო	2,1	2,9	+ 0,8
ვენახი	4,2	2,5	— 1,7
ბოსტანი	2,0	2,8	+ 0,8
ბაღები	2,0	3,3	— 1,3

წელს ყველა კულტურას კარგი პირი უჩანს გასულ წელთან შედარებით, გარდა ვენახისა, რომელმაც გასულ წელს დიდი მოსავალი მოგვცა.

ტფილისის მაზრა. საშუალოზე მეტია მოსალოდნელი გომბორის, წალკის, ყარაიაზის, მანგლისის, სართიჭალის რაიონებში.

საშუალო მოსავალია მოსალოდნელი ნორიის, მარტყოფის, საგარეჯოს, ასურეთის, ბელიკლუჩის, კოჯორის და ავჭალის რაიონებში.

ცუდი მოსავალია მოსალოდნელი წყნეთის თემში.

საერთოდ მაზრაში ცალცალკე კულტურის მდგომარეობა 1 ივლისს უდრიდა: სიმიდი—3,7; შემოდ. პური—3,1; შემოდ. ქერი 3,1; ლობიო—3,4; კართოფილი—38.

სახალხო სასურსათო კომისარიატში

სასურსათო გადასახადის კომპანია.

საქართველოს მაზრებში უკვე შეუდგნენ წინასწარ მუშაობას 1922—1923 წ. სასოფლო სამეურნეო წლის სასურსათო გადასახადის შესაგროვებლად. არაოფიციალურ ცნობებით რომელიც სახალხო სასურსათო კომისარიატს აქვს მიღებული, სამაზრო სასურსათო სამეულები უკვე დაარსებულია ყველგან. ნატურ გადასახადის კომპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით სახალხო სასურსათო კომისარიატმა უკვე ორი კვირაზე მეტია ყველა თავისი რევიზორ-ინსტრუქტორები დაგზავნა მაზრებში, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ წინასწარ საორგანიზაციო მუშაობაში.

ოფიციალური დოკუმენტარული ცნობები სახალხო სასურსათო კომისარიატს მიღებული აქვს მხოლოდ ზოგიერთ მაზრიდან. აი ეს ცნობებიც.

ახალციხის მაზრა. სამაზრო სასურსათო სამეული უკვე დაარსდა. სამეულის შემადგენლობა ასეთია: სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მღრიძე (თავმჯდომარე), სამაზრო სასურსათო კომისარი ამხ. კუზნეცოვი (თავმჯდომარის მოადგილე) და კომპარტიის მდივანი ამხ. არუსტამოვი.

სამეულს პირველი სხდომა ჰქონდათ ივნისის 3-ს და ამ სხდომაზე შეიმუშავა თავის მოქმედების გეგმა. ამას გარდა განსაზღვრა ის ეკვივალენტი, რომლითაც შეიძლება შეცვლა ერთის ფუთის ხორბლისა ამ მაზრაში. სამეულის დადგენილებით ერთი ფუთი ხორბლის ეკვივალენტია: ქერი 1 ნახევარი ფუთი, ქერდიკა—1 ფ. 10 გირ., კარტოფილი—5 ფ., ერბო—6 გირ., კარაქი—8 გ., საქართველოს ბონები—200.000 მან.

სამეული პირველი სხდომის შემდეგვე შეუდგა მუშაობას გადასახადის გასანაწილებლად თემებზე, რისთვისაც მოიწვია წარმომადგენლნი: სააღრიც-მამულო, სასტატისტიკო, საგადასახადო და საფინანსო განყოფილებებისა, აგრეთვე საქმის მცოდნე სხვა პირნი.

სიღნაღის მაზრა. სამეულის შემადგენლობა: ს. თავდიშვილი, გ. მირიანაშვილი და ვ. ზაბალაშვილი. სამეულის მუშაობა გაცხოველებით სწარმოებს. ფუთ ხორბლის ეკვივალენტი სამეულმა განსაზღვრა: სიმინდი—2 ფ., ქერი—2 ფ., ფეტვი—3 ფ., მზის უმზირა—2 ფ. სუფთა მატყლის—10 გირვანქა და ლობიო—1 ფ 10 გ.

თელავის მაზრა. ერთ ფუთ ხორბლის ეკვივალენტი: სიმინდი—1 ნახევარი ფ., ქერი—1 ნახევარი ფ., კარტოფილი—4 ფუთი, ღვინო—2 ვედრო ლობიო—1 ფ 10 გ., ერბო—4 გ., და მატყლი—10 გ.

ბორჩალოს მაზრა. სამეული დაარსდა ივლისის 5 ს შემადგენლობა: სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შაბანი, პარტკომის მდივანი—ამხ. ამაზი და სამაზრო სასურსათო კომისარის მოადგილე ამხ. მაქსიმოვი. ფუთი ხორბლის ეკვივალენტ ასე განსაზღვრა. სამეულმა: ქერი—2. ფ., სიმინდი—2,, ერბო—6 გ. შეფუცრული ყველი—6 გ., გაურეცხავი მატყლი—15 გ., ღვინო—4 ვედრო და ფული—400.000 მან.

ივლისის 7-სთვის მიღებული ცნობებით ნატურ-გადასახადის წინასწარი მუშაობა შემდეგს მდგომარეობაში: გამოანგარიშებულია თვითეულ სოფელში სახნავების საერთო სივრცე, დათესილ მიწების სივრცე, მუშა და მოცემ საქონლის რაოდენობა; შეკრებილია ცნობები სეტყვისაგან მიყენებულ ზარალის შესახებ. მუშაობა ცოტა არ იყოს ფერხდება იმის გამო, რომ ჯერ არ არის ზუსტი ცნობები მოსავლის შესახებ. ეს ცნობები ჩქარაა მოსალოდნელი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოსავალი მთელს მაზრაში კარგია, მხოლოდ მის მოკრებას ხელს უშლის გამუდმებული დიდი წვიმები, რომელიც ხშირად დიდი ნიაღვარი მოსდევს.

ხოფ. მევახშეთა წინააღმდეგ. რადგანაც ფართო ხასიათი ეძლევა ჩარჩების მიერ დამშეულ გლეხების ექსპლოატაციას სათესლე მასალის სესხად გაცემის და ვალდებულობის ბარათების ჩამორთმევის დროს, რომელშიაც რამდენჯერმე გადიდებული ნამდვილად აღებული სესხი, ამიტომ სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებს შინაგან საქმეთა კომისარის ამხ. ა. გეგეჭკორისა და სახალხო სასურსათო კომისარის ამხ. ა. ერქომაიშვილის ხელის მოწერით საგანგებო განკარგულება დაეგზავნათ, რომლითაც ევალებათ, გააუქმონ ზემოხსენებული ჩარჩული ბარათები და ნება დართონ გლეხებს, იმდენი დაუბრუნონ სათესლე მასალის ვალში, რომ იგი არ აღემატებოდეს სესხით აღებულ მარცვლეულობის დაწესებულ კანონიერს ნორმას. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ნიადაგზე შეუძლებელ გლეხებსა და ჩარჩებს შორის შეთანხმება მოხდება, უკანასკნელნი სამართალში უნდა იქმნენ მიცემულნი მევახშეობისათვის.

ამასთან ერთად სახალხო სასურსათო კომისარიატმა შეიმუშავა და სასწრაფოდ წარუდგინა დასამტკიცებლად საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის და სახ. კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა ზემოხსენებულ მევახშურ პირობათა გაუქმების წესის შესახებ. ამ პროექტით პირობა აუცილებლად გაუქმებულ უნდა იქნა, თუ სესხის გამღები მოვალისაგან 25 პროცენტზე მეტს იღებს იმ ხორბალსა და სიმინდზე, რომელიც სესხად არის გაცემული, თუ სესხის გამღები მაინც მოითხოვს ჩარჩულ პირობის შესრულებას, ან შეასრულებინებს, მაშინ იგი სამართალში უნდა იქმნეს მიცემული, როგორც მევახშე. ვალის ამღებს უფლება აქვს, თვითონაც მიმართოს სასამართლოს და ჩარჩულ პირობის გაუქმება მოითხოვოს. ადგილობრივი აღმასკომები მოვალენი არიან რომ ფართოდ გააცნონ დადგენილების შინაარსი სამის დღის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების მიღებისა.

მოწერილი ამბები

გურია.

გურიას მთელს დასავლეთ საქართველოში და საერთოდ საქართველოშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თუ ცივს ქართველ ტომების სპეციფიურ თვისებებზე შეიძლება ლაპარაკი, ეს მით უფრო გურულებზე.

აღსანიშნავია გურულის ცხარე ტემპერამენტი და აქედან გამომდინარე თავგანწირული გატაცება ყველა იმითი, რაც მის სულს და გულს უნდა.

ამის საუკეთესო ილიუსტრაციაა განვლილი ბრძოლა რეაქციასთან და შემდეგ რევოლიუციონური პროცესი. ამის ილიუსტრაციაა აგრეთვე თავდავიწყებამდი მისული გატაცება მომავალი თაობის სწავლა აღზრდისადმი და მრ. სხვ., რომლებზედაც შემდეგ შეიქმნება ლაპარაკი.

გურული გლეხი უპირველეს ყოვლისა რევოლიუციონერია. მართალია ცხარე ტემპერამენტის მქონე გურული საზოგადოდ მალე ცივდება, აპატიას ეძლევა და კერძოდ პოლიტიკურ ცხოვრებაში აპოლიტიზმში ვარდება, მაგრამ უკანასკნელი წლების და საზოგადოთ მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც მოვლენები განსაკუთრებით ელვის სისწრაფით იცვლება, გურულის თვითეულ „გაცივებას", აპოლიტიზმს, თუ ასეთები არიან, თან მოსდევს კიდევ მეტი გატაცება, კიდევ მეტი გაანჩხლება.

გურულის ამა თვისებით კარგათ სარგებლობდენ მენშევიკები და თვითეულ უმნიშვნელო ფაქტისათვის ცდილობდენ მიეცათ პოლიტიკური ალტკინების ხასიათი,—რასაც ადვილად ახერხებდენ.

ამას თუ კიდევ დაუმატებთ იმ გარამოებას, რომ პირველი, ვინც გურულ გლეხს უთხრა მისი მონობიდან განთავისუფლების შესახებ იყო მენშევიკი,—ადვილი გასაგებია რომ გურია გადაიქცა მენშევიკების ბუდეთ. არსად მენშევიკები ისე კარგად არ გრძნობდენ თავს, როგორც გურიაში. გურია მათთვის მაგალითი იყო და ერთგვარი საპროპაგანდო მასალაც: „დახეთ, საქართველოს ის კუთხე, რომელიც სწავლა განათლებით მაღლა სდგას, სავსებით ჩვენთან არისო".

ეს მართალი იყო. მაგრამ როგორც საერთოდ საქართველოში, ისე გურიაშიც მენშევიკებმა ვერ გამოიყენეს სახელმწიფო აღმშენებლობისათვის ხალხის ეს უსაზღვრო ნდობა. მათ თავიანთი 3 წლის ბატონობა სრულ უხიათობაში გაატარეს აღმშენებლობითი ხასიათის ამ ხნის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა. ის რაც მენშევიკებს სატრაბახოთ ქონდათ: სკოლები, წიგნთსაცავ სამკითხველოები და სხვ. ხალხის ფართე ინიციატივით იყო აგებული, უმრავლესი მათგანი ჯერ კიდევ 17 წლის რევოლიუციამდი, ნაწილი წმინდა რევოლიუციონურ გზით 1917 და 18 წლებში. ამით აიხსნება, რომ საქარ. დროებითი მთავრობის განათლების სამინისტროს ცნობებიც კი არა ქონდა გურიაში სასწავლებელთა რაოდენობის შესახებ.

შემდეგ, როდესაც საქმე მიდგა ამათ დაცვაზე აქ კი ეხლა შეყვარებული „საკაჩხენი" მოიგონეს, მუდამ გურული ხალხის მედგარი წინააღმდეგობის გამო ყველაფერი თავის ადგილზე დარჩა. სკოლებიც და სხვა კულტურული დაწესებულებანი მართალია დღესაც რომ გვიხდება ლაპარაკი ამათ შესახებ, ერთგვარი სიწითლეს ვგრძნობთ, დღევანდელი სკოლა და სამკითხველოც, მეტი რომ არ ვსთქვათ, გავერანებულია ათეული წლებით, რაც სკოლების შენობების რემონტი არ ყოფილა, მასწავლებლებს ხომ უაღრესად ქველმოქმედის სახელი აქვთ მოხვეჭილი რადგან მომავალ თაობის აღზრდა სრულიად უსასყიდლოთ იკისრეს. წიგნთ საცავ სამკითხველოები ხომ სრულიად მიტოვებულია, გაზეთის მიწოდების საქმე ხომ დღემდისაც ვერ არის მოწესრიგებული და სხვ. მაგრამ ამის შესახებ აქ გაკვრით.

დაუბრუნდეთ ისევ მენშევიკების უნიათობას, რომლის გამო მათი ბატონობის უკანასკნელ ხანაში მრავალი ხალხი ჩამოშორდა, განსაკუთრებით დასავლეთ გურიაში, სადაც აგრარულ ნიადაგზე მემამულეთა და გლეხებს შორის ურთიერთობა გამწვავებული იყო. კიდევ რამდენიმე წელი იყო საჭირო, რომ გურიაში მენშევიკების გავლენა საგრძნობლად შესუსტებულიყო, მაგრამ თებერვლის გადატრიალებამ საიქიოსკენ მიმავალი მენშევიზმი კვლავ უკანვე დააბრუნა, მენშევიკებმა მოიხვეჭეს ნაციონალური გმირების სახელი.

ცხადია ასეთ პირობებში ძნელი იყო ახალი ხელისუფლებისათვის ავტორიტეტის მოპოვება. ამას კიდევ დაუმატეთ საერთო არევ-დარევა, რომელსაც ადგილი აქვს ყოველგვარ გადატრიალების დროს, ადმინისტრაციის სისუსტე, საერთო უნდობლობა და სხვ.—და თქვენ თვალწინ გადაიშლება ის ატმოსფერო, რომელიც იყო და არის გურიაში. ამიტომაა აგრეთვე, რომ არსად იმდენი გასავალი არა აქვს მენშევიკურ ჭორებს, როგორც გურიაში. თვითეული მენშევიკი თავის სამღვთო მოვალეობად და ნაციონალურ საქმედ ხდის რაიმე ახალი სახის ადვილად გასასაღებული ჭორის გავრცელებას. ყველა ამას ძალიან ცუდი გავლენა აქვს არა მარტო იმიტომ, რომ უნდობლობას ბადებს ახალ მოძრაობისადმი, არამედ იმიტომაც, რომ ეს საერთოდ სულს უფორიაქებს ხალხს და მის შრომისადმი მისწრაფებასაც სცემს რამდენიმედ.

მართალია დრო ყველაფერს შვრება, ხალხი ერკვევა, მაგრამ ეს ხდება მეტად ნელი ნაბიჯით. ამის დასაჩქარებლად და მენშევიზმის დასასაფლავებლად გურიაში ხალხის ყოველგვარ სასარგებლოთ გადადგმულ ნაბიჯს აქვს მნიშვნელობა.

როგორ გატაცებულია დღეს გურული გლეხი (განსაკუთრებით გურიაში) ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზით. მისი გადაწყვეტილებაა მხარში ამოუდგეს მთავრობას ამ გზის გაყვანაში. ის იგონებს აგრეთვე მენშევიკური ეროვის და მთავრობის სურვილს ამ გზის გაყვანის შესახებ და იმედს გამოთქვამს, რომ [illegible] სურვილად [illegible].

ერთ ერთ კრებაზე, სადაც მოხსენებას აკეთებენ ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის შესახებ და იმ სამუშაოზე, რომელიც ხალხმა უნდა იკისროს, მოხუცი გლეხი ამბობს: „ოჯო ახლა ძაგინმა მაი გზაი თუ გააკეთეს, არკაცის არაფერს დავიჯერებო".

მართალია შავ ძალებს არ სძინავთ და ხმებს ავრცელებენ, რომ გზის ყოველგვარი მასალა რელსები, შპალები და სხვ. მენშევიკების დროს იყო დამზადებულიო, მაგრამ ლოღიკურად მოაზროვნე ფხიზელი გლეხი თვის გონებაში აძლევს პასუხს; თუ ყველა მზად იყო, მაშ რად არ გაიყვანესო.

არა ნაკლები მნიშვნელოვანი იქნება საერთოდ გზატკეცილების და შარა გზების შეკეთება და გაყვანა. დღეს ამ მხრით გურია მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. ხალხს ახსოვს ეროვის ტეხნიკების გროვა, რომელნიც ხშირად ესტუმრებოდნენ ამა თუ იმ სოფელს და მთელი მუშაობა გზის გაყვანისათვის გამოხატებოდა პალოების დასობაში. დღეს ეს საქმე სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს, ვინაიდან ეხლა სწორედ ამის დროა, რადგან გლეხი ეხლა თავისუფალია შედარებით.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სკოლებს. სასწრაფოდ უნდა მოხდეს მათი რემონტი, სანამ გვიან არ არის, უნდა გამოსწორდეს პროვინციალური ხასიათის მრავალი უკუღმართობანი, რომლებსაც მაგრად აქვს ფეხი გადადგმული და რომლების შესახებ შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ.

მ. ხ.

მთავრობის მოქმედ. და განკარგულებანი

დადგენილება № 32.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

ფინანსთა კომისარიატთან ადგილობრივ გადასახადთა განყოფილების დაარსების შესახებ.

1. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივ ორგანოთა შორის საფინანსო დარგში კონტაქტის დასამყარებლად მოეწყოს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან **ადგილობრივ გადასახადთა განყოფილება.**

2. ადგილობრივ გადასახადთა განყოფილებას დაევალება:

ა) ადგილობრივი ორგანოების თვალყურისდევნება მათი საჭიროებისათვის გადასახადების გაწერასა და აკრეფის საქმეში.

ბ) ადგილობრივი ორგანოების აღრიცხვათა განხილვა და თავისი დასკვნის წარდგენა.

3. ადგილობრივი გადასახადთა განყოფილებას ნება ეძლევა:

ა) მიიღოს მონაწილეობა კანონით დაწესებული გადასახადების გაწერაში

ბ) შეაჩეროს, ფინანსთა სახალხო კომისარის დასტურით, მიზანშეუწონილი გადასახადის გაწერა და აკრეფა

გ) შეამციროს, ფინანსთა სახალხო კომისარის დასტურით, გადასახადის რაოდენობა.

დ) მოსთხოვოს ადგილობრივ ორგანოთ აღრიცხვათა წარმოდგენა ახსნა განმარტებით.

ე) შეამციროს და შეასწოროს ფინანსთა სახალხო კომისარის დასტურით აღრიცხვები.

4. ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეასრულონ ფინასთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი გადასახადთა განყოფილების ყველა განკარგულება.

შენიშვნა განსაჩივრების უფლება საერთო წესით.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. **ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი ა. **სვანიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ა. **სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 4.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ქალაქის აღმასკომის სამიწად-მომქმედო განყოფილება

ამით აცხადებს სახლის მეპატრონეთა საყურადღებოთ, რომ გატანა და შემოტანა საანკეტო ფურცლებისა სახლების რეგისტრაციისათვის გრძელდება 1 ავგისტომდე. საანკეტო ფურცლის ფასია—100.000 მან 1 აგვისტოდან საანკეტო ფურცლების ფასი გადიდდება 10 ჯერ. 10—1

ტირაჟი 700 საქართ. უმაღ. ეკონ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა, ნ. ფ. ს. ც.